განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტზე

„შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღების მიზეზია შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობისათვის აუცილებელი და სათანადო ინსტიტუციებისა და სამართლებრივი ბაზის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანისა და ცხოველების თანაარსებობისათვის აუცილებელი უსაფრთხო და საიმედო გარემოს შექმნას. ასევე, თავად შინაურ ბინადარ ცხოველებს შეუქმნის მათი რეალიზებისათვის აუცილებელ საცხოვრებელ გარემოს და სათანადო პირობებს. კანონპროექტის მიღება მიზნად ისახავს ქვეყანაში შინაური ბინადარი ცხოველის ხარისხიანი გარემოს დამკვიდრებას, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფას და დაცვას. ასევე, ურბანულ გარემოში მათთვის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნას და ამასთან დაკავშირებული რისკების განსაზღვრასა და მართვას; შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობისა და მათი პოპულაციების მართვის თანამედროვე, აპრობირებული, ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების დანერგვას.

კანონპროექტის შემუშავების მიზანია ასევე, ადამიანისა და ცხოველის თანაცხოვრების პირობებში მოხდეს, ერთი მხრივ ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების, ხოლო მეორე მხრივ - ცხოველთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვა გონივრული ბალანსის უზრუნველყოფის მეშვეობით.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა

ვინაიდან საქართველოში ამჟამად არ არსებობს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, არ არსებობს ზოგადი პრინციპები და სტანდარტები, რომელიც აღნიშნულ საკითხებს დაარეგულირებს (ამჟამად რეგულირდება მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის წესებით, რომელსაც დადგენილებით ამტკიცებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საკრებულო) აუცილებელია კანონის მიღება, რომელიც დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვებ სტანდარტებს, პატრონთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ასევე, დარეგულირდება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობები.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები

კანონპროექტის მიღების შედეგად შეიქმნება შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაარეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, დააწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მათი გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვებ სტანდარტებს, პატრონთა ვალდებულებებს შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ასევე, დარეგულირდება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა, მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი არეგულირებს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს და აწესებს მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სტანდარტებს.

კანონპროექტის I თავი მოიცავს ზოგად დებულებებს: კანონპროექტის მიზანსა და რეგულირების სფეროს, ასევე ტერმინთა განმარტებებს;

კანონპროექტის II თავი ადგენს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის ძირითად პრინციპებს, მათი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად მოვლა-პატრონობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, რაც თავის მხრივ გულისხმობს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში თანაბარი არსებობის შესაძლებლობასა და ცხოველთა ტკივილისა და ტანჯვისაგან დაცვას.

ამავე თავით რეგულირდება შინაური ბინადარი ცხოველის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისათვის დასაშვები სტანდარტები, პატრონთა ვალდებულებები შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; ასევე, რეგულირდება ცხოველთა სასტიკი მოპყრობისაგან დაცვა.

კანონპროექტის III თავი ადგენს შინაურ ბინადარ ცხოველთა მოკვდინების (ევთანაზია) და კომერციული მოშენება-გამოყენებისა და მათი რეალიზაციის პირობებს; დაუშვებელია შინაურ ბინადარ ცხოველთა გამოყენება ისეთი საშუალებებითა და მეთოდებით, რაც გამოიწვევს მათ ტანჯვას ან ძლიერ ფიზიკურ ტკივილს. რაც შეეხება მოკვდინებას, აუცილებელია მოკვდინებისას ჰუმანური მეთოდების გამოყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვეტერინარისა და კინოლოგის სავალდებულო მონაწილეობით დადგინდება შინაური ბინადარი ცხოველის განუკურნებელი და საშიში დაავადებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯანმრთელი ცხოველის მოკვდინება ჩაითვლება მისთვის სიცოცხლის განზრახ მოსპობად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კანონპროექტი (თავი IV) ითვალისწინებს შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრებში მოთავსების შესაძლებლობას და ადგენს თავშესაფრებში საჭირო პირობების აუცილებლობას. კერძოდ, დარეგულირდება უმეთვალყურეო, უსახლკარო და

მაწანწალა შინაური ბინადარი ცხოველების დაჭერისათვის აუცილებელი წინაპირობები და საჭიროების შემთხვევაში, მათი თავშესაფრებში განთავსების შესაძლებლობა შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით.

მნიშვნელოვანია ჩანაწერი (თავი V), რომლის შესაბამისადაც, შინაური ბინადარი ცხოველები ექვემდებარებიან სავალდებულო პირველად რეგისტრაციას, იდენტიფიკაციას და ყოველწლიურ საკონტროლო რეგისტრირებას. რეგისტრაციის შემდეგ კი შინაური ბინადარი ცხოველის მაინდენტიფიცირებელ საშუალებებს წარმოადგენს სვირინგი, „საჭდი“, მიკროჩიპი ან სპეციალური საყელური, რომელზეც განთავსებულია შინაური ბინადარი ცხოველის საიდენტიფიკაციო ნომერი და მეპატრონის მონაცემები.

ინიცირებული კანონპროექტის VI თავით განისაზღვრება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების კომპეტენცია შინაური ბინადარი ცხოველების კეთილდღეობისა და დაცვის უზრუნველყოფის მიმართულებით; ფიზიკური და იურიდიული პირების ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობა და დაცვა, უსახლკარო ცხოველების პოპულაციის შემცირებაზე მიმართული ღონისძიებები, ცხოველთა ჰუმანური მოპყრობის მოთხოვნები, ცხოველთა ტანჯვისა და სასტიკი მოპყრობისგან დაცვა ჰუმანური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით. უშუალო ფუნქციები შინაურ ბინადარ ცხოველთა ყოლის წესების განსაზღვრისა და მათი პოპულაციის მართვა-მონიტორინგის კუთხით მინიჭებული აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ კანონის მოთხოვნათა დაცვას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კანონპროექტით (თავი VII) გათვალისწინებულ ამკრძალავ ნორმებსაც. კერძოდ, მნიშვნელოვანი წინსვლა განხორციელდება ცხოველთა მონაწილეობით ორთაბრძოლების მოწყობასა და ასეთი ორთაბრძოლების პროპაგანდის აკრძალვას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ცხადია, მგავსი ქმედებები გამოიწვევს ინდივიდთა პასუხისმგებლობას. კანონპროექტის მიხედვით, პასუხისმგებლობა კანონით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევისათვის განისაზღვრება საქართველოს „ადმინისტრაციულს სამართლადარღვევათა კოდექსითა“ და „სისხლის სამართლის კოდექსით“.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებული კანონპროექტის შემთხვევაში)

აღნიშნული პუნქტი არ ვრცელდება კანონპროექტთან მიმართებაში.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება

კანონპროექტი ძალაში შევა 2020 წლის 1 იანვრიდან, რადგან პროექტით დადგენილი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების გათვალისწინება მოხდება 2020 წლიდან.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას)
კანონპროექტი არ განიხილება დაჩქარებული წესით

ბ)კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი)

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება სავარაუდოდ გამოიწვევს ხარჯებს, იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებსაც განსაზღვრული არ აქვთ შესაბამისი უფლებამოსილი სამსახური (მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი მიზნით შექმნილი იურიდიული პირი), რომელიც უზრუნველყოფს კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას. კანონპროექტით გამოწვეული ხარჯების დაფინანსების წყარო იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებსაც განსაზღვრული არ აქვთ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო, იქნება ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტები, როგორც 2020 წელს, ასევე საშუალოვადიან პერიოდში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე; გარკვეულწილად გაიზრდება შემოსულობები, რამდენადაც მე-11 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ყველა პირი, რომელიც ეწევა კომერციულ მოშენებას შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლების მიზნით, გადაიხდიან ნებართვის საფასურს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. კომერციული მოშენების სანებართვო პირობებს და ნებართვის გაცემის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ადგილობრივი თვითმმართველობებს უკვე გააჩნიათ ცხოველთა ყოლის წესების დადგენის კუთხით გარკვეული უფლებამოსილებები და ასევე უპატრონო ცხოველების მოძიებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების უფლებამოსილებები. ამისათვის მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ გარკვეული ოდენობის ბიუჯეტი. ყველა რეგიონში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსების წყარო იქნება ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტი და საჭირო დამატებითი ფინანსური რესურსი გამოიყოფა 2020 წლის 1 იანვრიდან. შესაბამისი ხარჯები გასაწევი იქნება იმ მუნიციპალიტეტებში, რომლებსაც განსაზღვრული არ აქვთ შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო (მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი მიზნით შექმნილი იურიდიული პირი), რომელიც უზრუნველყოფს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობაზე კანონით დადგენილი ვალდებულებების შესრულებას..

ასევე, იმ შემთხვევაში, თუ შინაური ბინადარი ცხოველის მეპატრონე სოციალურად დაუცველია (მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი), მუნიციპალიტეტს დაემატება ამ ცხოველის ევთანაზიის, დამარხვის/კრემაციის/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების ხარჯები:

- ევთანაზიის ხარჯი 1 ცხოველზე - საშუალოდ 10.00 ლარი
- დამარხვა/ბიოთერმულ ორმოში მოთავსების - ხარჯი 1 ცხოველზე საშუალოდ 16.00 ლარი

შესაბამისად, 2020-2023 საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტების მიერ ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ხარჯების ოდენობა დამოკიდებული იქნება ზემოაღნიშნული პროცედურების რაოდენობაზე.

რაც შეეხება თავშესაფრებს: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაიწყო შინაურ ბინადარ ცხოველთა თავშესაფრების მოწყობა. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ კახეთის რეგიონში (გურჯაანში) უკვე დაწყებულია თავშესაფრის მშენებლობა. 2019 წელს თავშესაფრის აშენება ეტაპობრივად ყველა რეგიონში იგეგმება. მუნიციპალური თავშესაფრები დააკმაყოფილებს სტანდარტს - განთავსდება შემოღობილ ტერიტორიაზე და აღიჭურვება: ადმინისტრაციული და კარანტინის შენობებით, ვეტერინარული კლინიკით, ლაბორატორიით, ვოლიერებითა და ყველა სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურით. ერთი თავშესაფრის ჯამური ღირებულება დაახლოებით 715 ათასი ლარია. 2019-2020 წლებში დაგეგმილია ამგვარი თავშესაფრების მშენებლობა საქართველოს ყველა რეგიონში. თითოეული თავშესაფრის ღირებულება არ უნდა აღემატებოდე 1 მნლ ლარს. ამდენად, 9 რეგიონში თავშესაფრების მშენებლობის ფინანსური რესურსი არ უნდა აღემატებოდეს 9 მლნ. ლარს. ამ ეტაპზე უცნობია როგორც ამ პროექტების დაფინანსების წყარი (დონორების დაფინანსება საქართველოს წილობრივი მონაწილეობით), ასევე შესაბამისი ფინანსური რესურსის წილი. მიმდინარეობს მოლაპარაკებები დონორ ორგანიზაციებთან.

შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაცია, დროებითი რეგისტრაცია და ყოველწლიური საკონტროლო რეგისტრაცია განხორციელდება შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიან რეესტრში, რომელი ამჟამად მოქმედებს მხოლოდ თბილისის მასშტაბით, ქვეყნის მასშტაბით ამ რეესტრის წარმოება დაკავშირებული იქნებოდა გარკვეულ ხარჯებთან, თუმცა: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული აწარმოებს ფერმერული ცხოველების იდენტიფიკაციასა და რეგისტრაციას შესაბამის რეესტრში, რომელიც შეიქმნა გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) დახმარებით ერთ-ერთი პროქტის ფარგლებში. პროექტი ითვალიწინებს მოიცვას შინაური ბინადარი ცხოველების ერთიანი რეესტრიც, ამდენად, შინაურ ბინადარ ცხოველთა ერთიანი რეესტრის წარმოება არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს ბიუჯეტიდან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით

კანონპროექტით სახელმწიფოს არ ეკისრება ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა

კანონპროექტის ამოქმედებამ შესაძლოა ფინანსური გავლენა მოახდინოს იმ პირებზე, ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება. კერძოდ, შინაურ ბინადარ ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნებთან დაკავშირებული სავალდებულო ნორმების შემოღება - მეპატრონემ უზრუნველყოს ყოველწლიური ვეტერინარული შემოწმება და იმუნიზაცია - გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ მეპატრონისათვის, ვინც ამ ქმედებებს არ ასრულებდა, თუმცა ცხოველის ჯანმრთელობისათვის აუცილებელია:

- ვეტერინარული შემოწმება - საშუალოდ 50 ლარი
- იმუნიზაცია (ცოფზე და სხვა კომპლექსური აცრები) - საშუალოდ 60 ლარი
- დეჰელმინთიზაცია (წონის მიხედვით) - საშუალოდ 30 ლარი

კანონპროექტი ფინანსურ გავლენას იქონიებს ასევე იმ პირებზე, რომლებიც ეწევიან კომერციულ მოშენებას შინაურ ბინადარ ცხოველთა გამრავლების მიზნით. ეს პირები გადაიხდიან ნებართვის საფასურს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. კომერციული მოშენების სანებართვო პირობებს და ნებართვის გაცემის საფასურის ოდენობას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტის მიხედვით, ჯიშიანი შინაური ბინადარი ცხოველების კომერციული მიზნით მოშენება დასაშვებია მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რაც ნებართვის ახალი სახეა - ,,შინაურ ბინადარ ცხოველთა კომერციული მოშენების ნებართვა“, რომლის გაცემის წესი აისახა ,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ კანონში. ნებართვას გასცემს მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან შესაბამისი მიზნით შექმნილი იურიდიული პირი. ნებართვის მაძიებელი შინაურ ბინადარ ცხოველთა კომერციული მოშენების ნებართვის მისაღებად იხდის ნებართვის გაცემის ფასს, რომელიც ჩაირიცხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. ნებართვის გაცემისას მოსაკრებელი არ გადაიხდევინება. სანებართვო პირობებს, ნებართვის გაცემის წესს, ნებართვის გაცემის ფასსა და მისი გადახდის წესს ამტკიცებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის დასაცავად საერთაშორისო დონეზე აღიარებულია დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ დააარსებული ცხოველთა კეთილდღეობის ზედამხედველობის კომიტეტის მიერ 1967 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპები, რომლებიც ცხოველთა ხუთი „თავისუფლების“ სახელითაა ცნობილი:

- ცხოველისათვის თავისუფალი წვდომა წყალსა და საკვებთან, სრულფასოვანი ჯანმრთელობისა და მხნეობის შესანარჩუნებლად;
- შესაფერისი გარემო-პირობების უზრუნველყოფა თავშესაფრისა და კომფორტული მოსასვენებელი არეალის ჩათვლით;
- დაავადების პრევენცია დროული დიაგნოსტიკისა და მოვლა-პატრონობის გზით;
- შესაბამისი სივრცის, მოწყობილობებისა და მის მსგავს ცხოველთან ურთიერთობის უზრუნველყოფა;
- ისეთი პირობების შექმნა და მზრუნველობა, რაც აარიდებს კომპანიონ ცხოველებს ფსიქიკურ ტანჯვას;

აღსანიშნავია შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები. ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია მიღებულია „ცხოველთა უფლებების საერთაშორისო ლიგის“ მიერ ქ.ლონდონში და ითვალისწინებს ყველა ცოცხალი არსებისათვის მინიჭებული ბუნებრივი უფლებების დაცვას, ხოლო მათი უგულებელყოფა, აბუჩად აგდება ან უბრალოდ მათი არცოდნა სერიოზულ ზიანს აყენებს ბუნებას და ადამიანებს ცხოველების მიმართ დანაშაულებრივი ქმედებებისკენ უბიძგებს. შინაური ცხოველების დაცვის ევროპის კონვენციის (1987 წლის 13 ნოემბერს მიიღეს სტრასბურგში) ხელმომწერი ქვეყნები აღიარებენ, რომ ადამიანს გააჩნია მორალური პასუხისმგებლობა პატივი სცეს შინაურ ცხოველებს. ამასთან, დოკუმეტის მონაწილე სახელმწიფოები აღაირებენ შინაური ცხოველისა და ადამიანის ჰიგიენასთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს; ცხოველთა შეძენის, შენახვის, კომერციული თუ არაკომერციული გამრავლებისა და ვაჭრობის სხვადასხვა პირობებს; აღნიშნავენ იმას, რომ შინაურ ცხოველებთან მიმართება მნიშვნელოვნად იცვლება ხშირ შემთხვევაში მწირი ცოდნის გამო.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს

შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

ასეთი არ არსებობს.

დ)კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტი მომზადდა შემდეგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადებების (N21841; 14.11.2017 და N648; 18.01.2018) საფუძველზე:

- „ცხოველთა უფლებების კომიტეტი“ (თავმჯდომარე თინათინ ჭავჭანიძე)
- ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია „ჰუმანილი“ (თავმჯდომარე სოფიო ჯიბუტი)
- „ცხოველთა უფლებების ადვოკატირების ცენტრი“ (თავმჯდომარე თამარ აქუბარდია)
- „სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრი“ (თავმჯდომარე სოფიო ბეროშვილი)
- ააიპ ,,ცხოველთა მეგობრები“ (თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ირინა ლიკლიკაძე)
- ააიპ ,,ცხოველთა სამყარო“ (თავმჯდომარე გულნარა ფუტკარაძე-სეჩენიანი)
- ააიპ ,,ცხოველთა დახმარების, უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის ორგანიზაცია (თავმჯდომარე ირმა მთიულიშვილი)
- ააიპ ,,საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაცია“ (თავმჯდომარე თემურ ლაჭყეპიანი)
- ააიპ ,,ბუნებისა და ცხოველთა გადარჩენის ასოციაცია ნარა“ (თავმჯდომარე ქეთევან ინასარიძე)
- ააიპ ,,ვეგან ჯორჯია“
- ააიპ „სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება“ (თავმჯდომარე ვახტანგ მამალძე)
- ააიპ ,,ძაღლთა გადარჩენისა და დაცვის ასოციაცია
- ააიპ ,,უსახლკარო ცხოველთა დაცვის საზოგადოება“
- ა/კ თბილისის ზოოპარკის მონიტორინგის ჯგუფი

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში

რაც შეეხება უშუალოდ სახელმწიფოთა პრაქტიკას, შინაური ბინადარი ცხოველების (pet animals) კეთილდღეობის დაცვა ევროკავშირის ქვეყნებში (ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი, საფრანგეთი, გერმანია, ფინეთი, შვედეთი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვენია, ესპანეთი, საბერძნეთი, იტალია, სერბეთი, ხორვატია, დიდი ბრიტანეთი, ისლანდია), აგრეთვე თურქეთსა და უკრაინაში ძირითადად რეგულირდება: ცხოველთა დაცვის შესახებ კანონით (Animal Protection Act), ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ კანონით (Animal welfare Act), ვეტერინარული საქმიანობის შესახებ კანონით (Law on Veterinary Activities), კანონით ცხოველების სასტიკად მოპყრობისგან დაცვის შესახებ (Law On The Protection Of Animals from Cruelty), კანონი ძაღლების მოვლის შესახებ (Law on keeping dogs), ცხოველთა ტრანსპორტირების შესახებ დადგენილება (Animal Transport Regulations) და სხვა სპეციალური დადგენილებებით სახელმწიფო და მუნიციპალურ დონეზე.

ვინაიდან საქართველოში ამჟამად არ არსებობს შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის მარეგულირებელი სრულყოფილი საკანონმდებლო ინსტრუმენტები და ამასთან, სახელმწიფოთა პრაქტიკაც გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და გარდაუვალია აღნიშნული საკითხის რეგულირება, ზემოთ წარმოდგენილი პრინციპები და სტანდარტები აისახა ინიცირებულ კანონპროექტში.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან ცხოველთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციები: "ცხოველთა უფლებების კომიტეტი", ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია "ჰუმანიმალი", „სოციალური პროგრამებისა და განვითარების ცენტრი", „ცხოველთა უფლებების ადვოკატირების ცენტრი", ააიპ ,,ცხოველთა მეგობრები", ააიპ ,,ცხოველთა სამყარო", ააიპ ,,ცხოველთა დახმარების, უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის ორგანიზაცია, ააიპ ,,საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაცია", ააიპ ,,ბუნებისა და ცხოველთა გადარჩენის ასოციაცია ნარა", ააიპ ,,ვეგან ჯორჯია", ააიპ „სრულიად საქართველოს ცხოველთა დაცვის საზოგადოება", ააიპ ,,ძაღლთა გადარჩენისა და დაცვის ასოციაცია", ააიპ ,,უსახლკარო ცხოველთა დაცვის საზოგადოება", ა/კ თბილისის ზოოპარკის მონიტორინგის ჯგუფი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: კახაბერ კუჭავა, ზაზა ხუციშვილი, ოთარ დანელია, ენძელა მაჭავარიანი, გიორგი გაჩეჩილაძე, კობა ლურსმანაშვილი, სულხან მახათაძე, გოგი მეშველიანი, ლევან კობერიძე და გიორგი ხატიძე.